



**უფლებები  
საქართველო**  
Rights Georgia

**2020**

**ელექტრონული  
მართლმსაჯულების  
ეფექტიანობა  
კანდემიის დროს  
შეფასების ანგარიში**

პანდემიის პირობებში ედექტონული მართვითი ეფექტიანობის  
შეფასების ანგაჰიში

*Effectiveness of E-Justice during Pandemic (Evaluation Report)*

ანგარიშიზე მუშაობდნენ:

კახა წიქარიშვილი

ნანა მჭედლიძე

ანა თვარაძე

დიმიტრი ხაჩიძე

© „უფლებები საქართველო“, თბილისი, ივლისი, 2020

[www.rights.ge](http://www.rights.ge)

უფლებები საქართველოს წეხიდობითი ნებახთვის გახეშე აკხდადუღია ანგაჰიშის, ან  
მისი ნაწილის ხაიმე ფოხმით გამოქვეყნება

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი  
დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების  
სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განუღი. ანგარიშის შინაარსზე  
პასუხისმგებელია „უფლებები საქართველო“. ანგარიში შესაძლოა არ  
ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის  
მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



## შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. კვლევის საგანი და მიდგომა .....	6
3. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია .....	6
4. საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფოთა პრაქტიკა .....	8
გაერთიანებული ერები .....	8
4.1. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ).....	8
4.2. ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭო (CCJE) .....	10
4.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) .....	11
4.4. ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება .....	15
5. ეროვნული საკანონმდებლო რეგულირება / ნორმატიული ჩარჩო .....	16
6. გამოვლენილი პრობლემების მოკლე შეჯამება .....	19
7. კვლევის შედეგები .....	20
7.1. სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები.....	21
7.2. ტექნიკური პრობლემები.....	29
7.3. იმანენტური პრობლემები .....	35
7.4. დისტანციური სხდომების უპირატესობები.....	36
8. რეკომენდაციები .....	38
8.1. რეგულაციებისა და პრაქტიკის დახვეწა .....	38
8.2. უნარების გაუმჯობესება .....	40
8.3. ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები .....	41
9. დასკვნა .....	42

## 1. შესავალი

2020 წლის პირველ ნახევარში თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, რომელიც 2019 წლის ბოლოს წარმოიქმნა და 6 თვის განმავლობაში მსოფლიოს 213 ქვეყანაში გავრცელდა. 2020 წლის 21 ივლისის მდგომარეობით მსოფლიოში 14 774 887 ადამიანია დაინფიცირებული, ხოლო 611 5999 - გარდაცვლილი<sup>1</sup>.

პანდემიისგან დაცული არც საქართველო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გავრცელების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად დაზარალდა, პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის, მართლმსაჯულებაზეც.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და შეიზღუდა მთელი რიგი სამოქალაქო უფლებები. მართალია, შეზღუდვა არ შეხებია სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა პრეზიდენტის დეკრეტით მართლმსაჯულების განხორციელებისას უპირატესობა მიენიჭა საქმეთა განხილვაში მხარეთა დისტანციურ მონაწილეობას. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის დროს მართლმსაჯულების უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობას.

შეცვლილმა რეალობამ გავლენა მოახდინა იქონია მთელი ქვეყნის მასშტაბით მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე: სასამართლო სხდომების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიდო, ხოლო ნაწილი გაგრძელდა მხარეთა დისტანციური ჩართვის მეშვეობით<sup>2</sup>, სასამართლოს შენობებში ადამიანების გადაადგილება შეიზღუდა, ასევე, შეიზღუდა სასამართლო სხდომების საჯაროობა. დისტანციურმა სხდომებმა, ერთი მხრივ, უზრუნველყო მართლმსაჯულების განხორციელება გადაუდებელ საქმეებზე, ხოლო, მეორე მხრივ, შექმნა

<sup>1</sup> <https://stopcov.ge/>

<sup>2</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინფორმაციით, 15 ივლისის მდგომარეობით, უკვე 16 900 ზე მეტი სხდომა ჩატარდა.

მხარეთა უფლებების დარღვევის და მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესების საფრთხე. იმ ფონზე, როდესაც სასამართლოებში საქმისწარმოების გაჭიანურება სისტემურ პრობლემას წარმოადგენს, პანდემიის დროს სხდომების გადადება აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო გაამძაფრებს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის დისტანციური მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუ ამ დროს დაცულია სამართლიანი პროცესის გარანტიები, კერძოდ, სხდომაში დისტანციური მონაწილეობის შემთხვევაში, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ტექნიკური დაბრკოლებების გარეშე თვალი ადევნოს საკუთარ პროცესს და იყოს მოსმენილი, ჰქონდეს ეფექტური და კონფიდენციალური კომუნიკაცია საკუთარ დამცველთან<sup>3</sup>. შესაბამისად, თუ დისტანციური პროცესების პირობებში ეს საკითხები არ გადაიჭრება, შესაძლოა აღნიშნულმა ბრალდებულთა უფლებების სეროზული დარღვევა გამოიწვიოს.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის ივლისიდან სასამართლო დარბაზები გაიხსნა და რეალური პროცესების ჩასატარებლად სამართლებრივი ბარიერები მოიხსნა, საპატიმრო დაწესებულებები (2020 წლის 26 ივლისი მდგომარეობით) მასშტაბურად არიდებენ თავს პატიმრების ტრანსპორტირებას და ამჯობინებენ პროცესში პატიმრების დისტანციურ ჩართვას, რაც პრობლემას წარმოადგენს, რადგან დისტანციური კავშირის ხარისხი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს.

მეორე მხრივ, დისტანციური სხდომების ფართო გამოყენებამ წარმოშვა მართლმსაჯულებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რაც პანდემიის დასრულების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს.

მიმდინარე წლის მაისიდან, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში” (USAID/PROLOG) დაფინანსებით ა(ა)იპ „უფლებები საქართველო“ ახორციელებს პროექტს „ელექტრონული მართლმსაჯულების მონიტორინგი საგანგებო ვითარების დროს“. პროექტი მიზნად ისახავს ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის შეფასებას მხარეთა გამოკითხვითა და დისტანციურად გამართული სასამართლო პროცესების მონიტორინგის გზით. ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

---

<sup>3</sup> Sakhnovski v. Russia. Nov. 2, 2010, application n. 21272/03

## 2. კვლევის საგანი და მიდგომა

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს სასამართლოს დისტანციური სერვისებისა და ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის შეფასება. დისტანციურად გამართული სასამართლო პროცესები შეფასდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- აუდიო-ვიდეო კომუნიკაციის ხარისხი;
- ელექტრონული პროცესების გავლენა სამართალწარმოების სისწრაფეზე, ხარჯებსა და ხარისხზე;
- ელექტრონული პროცესების დროს მხარეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- ელექტრონული პროცესების ტექნიკური, სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები.

## 3. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მთავარი მიზანია, პანდემიის დროს სასამართლოს დისტანციური სერვისებისა და დისტანციური სხდომების ეფექტიანობის შეფასება. ამ მიზნის მისაღწევად და მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების საშუალებით განხორციელდა:

- ნორმატიული მასალისა და საერთაშორისო გამოცდილების დამუშავება (სამაგიდე კვლევა);
- მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სუბიექტების გამოკითხვა წერილობითი კითხვარების მეშვეობით (რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა);
- რესპოდენტებთან სატელეფონო ინტერვიუები (თვისებრივი კვლევა);
- ფოკუს ჯგუფთან გასაუბრება (თვისებრივი კვლევა);
- ელექტრონულად გამართული პროცესების მონიტორინგი.

კვლევის ტრადიციული მეთოდებით წარმართვის გარდა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ელექტრონული მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართული ყველა მხარისათვის კვლევის პირველადი შედეგების გაცნობა და დისკუსიის გამართვა იდენტიფიცირებული

პრობლემების სხვადასხვა მხარის პერსპექტივიდან შეფასებისა და გაანალიზების მიზნით.

ანკეტა/კითხვარის საფუძველზე წერილობით გამოიკითხა:

- 121 ადვოკატი;
- 19 პროკურორი;
- 14 მოსამართლე.

პირისპირ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო:

- 8 ადვოკატმა;
- 6-მა მოსამართლის თანაშემწემ;
- 4-მა სასამართლო სხდომის მდივანმა.

ფოკუს ჯგუფის სახით გამოიკითხა 10 ჟურნალისტი.

კვლევის პარალელურად პროექტის იურისტების მიერ განხორციელდა დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგი რეალურ დროში. პროექტის იურისტები დაესწრენ 20 სასამართლო სხდომას. მონიტორინგისათვის შემუშავდა სპეციალური მეთოდოლოგია - ონლაინ სასამართლო პროცესის პარამეტრების გათვალისწინებით მომზადდა სტანდარტიზებული ანკეტა, რომელსაც ავსებდა პროექტის იურისტი, უშუალოდ მონიტორინგის განხორციელების პროცესში. მონიტორინგის მიზანი იყო, შეფასებულიყო, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობდა სხდომა ტექნიკური თვალსაზრისით, ხდებოდა თუ არა მხარეების პროცესში მონაწილეობა ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთაგან 2 სხდომა ეხებოდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას, 12 სხდომა იყო არსებითი, 2 ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების შერჩევას/შეცვლას, 4 სხდომა იყო წინასასამართლო. სხდომების საშუალო ხანგრძლივობა იყო 30 წუთი. 16 სხდომაზე ბრალდებული იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, ხოლო 4 სხდომაზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო არასაპატიმრო ღონისძიება. ნივთმტკიცებების გამოკვლევა არც ერთ სხდომაზე არ მომხდარა. მოწმის დაკითხვა განხორციელდა 3 სხდომაზე.

კვლევის ბოლო ეტაპზე განხორციელდა საერთაშორისო გამოცდილების - როგორც ევროსაბჭოსა და გაეროს საკონსულტაციო ორგანოების, ასევე ცალკეული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ანალიზი. მიღებული შედეგები ასახული იქნა პროექტის მიგნებებსა და რეკომენდაციებში.

## 4. საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფოთა პრაქტიკა

წინამდებარე ქვეთავში განხილულია სტანდარტები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში პანდემიის გამო კონკრეტულად მართლმსაჯულების სფეროში გამოწვეულ გამოწვევებთან გასამკლავებლად იქნა შემუშავებული. პროექტი მონიტორინგს ახორციელებდა აღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით. სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა მოყვანილია საილუსტრაციოდ.

### 4.1. გაეხითიანებული ეხები

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარმა მოუწოდა გაეროს წევრ სახელმწიფოებს განსაზღვრონ იმ საქმეთა პრიორიტეტულობა, რომლებსაც პანდემიის დროს მართლმსაჯულების სისტემა უნდა გაუმკლავდეს, კერძოდ, სახელმწიფოებმა პრიორიტეტი მიანიჭონ მძიმე დანაშაულების და ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვას, მართლმსაჯულების განხორციელების დროს გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები ადამიანის უფლებათა სტანდარტების სრული დაცვით.<sup>4</sup>

### 4.2. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) 2020 წლის 10 ივნისს, შეიმუშავა დეკლარაცია „მართლმსაჯულების სისტემის გამოცდილებები და გამოწვევები პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდეგ“<sup>5</sup>. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა წევრ ქვეყნებში მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, კომისია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უმოკლეს ვადებში მიიღონ ზომები ახალ რეალობაში მართლმსაჯულების სისტემების საქმიანობის ადაპტირების მიზნით. კომისიის აზრით, პანდემიური კრიზისის არსებობა ვერ გაამართლებს სასამართლო სისტემების შეფერხებას ან სამართლიანი სასამართლოს უფლების

<sup>4</sup> <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/COVID-19.aspx> (ნანახია 22.07.2020).

<sup>5</sup> The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic (იხ. <https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2> ნანახია 20.07.2020).



დარღევას. ამავდროულად, კრიზისის დასრულების შემდეგაც კი სასამართლო სისტემები მომზადებული უნდა შეხვდნენ პანდემიის ახალ მოსალოდნელ ტალღებს.

ამ კუთხით, კომისიამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვისკენ, მათ შორის:

- სამართლიანი სასამართლოს უფლება ყოველგვარ ვითარებაში უნდა იყოს დაცული. საგანგებო ზომები შესაბამისობაში უნდა იყოს კანონიერების პრინციპთან და უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი განჭვრეტადობის და პროპორციულობის ტესტს;
- პანდემიის დროს, სასამართლოების დროებითი დახურვა შესაძლოა საჭირო გახდეს ადამიანების ჯანმრთელობის დასაცავად, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეზღუდა;
- მართლმსაჯულების სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ალტერნატიული საშუალებებით, როგორცაა ინტერნეტ წვდომა, ტელეფონი, იმეილი და სხვა.;
- აუცილებელია კოორდინაცია და კონსულტაცია მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა სუბიექტებს შორის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მონყვლად ჯგუფებს, როგორცაა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები. სასამართლოებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ამ კატეგორიის პირთა საქმეების განხილვას;
- სასამართლოებმა უნდა მიიღონ ზომები სასამართლო პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად;
- პროცესების გადადებასთან ერთად, უნდა დაინერგოს სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმეთა გაჭიანურების შემცირებას და საქმეთა ნაკადის მართვას;
- უნდა წახალისდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და პროცესების დისტანციურად წარმართვა, თუმცა ამაზე არ უნდა ხელყოს სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური უფლება. პერიოდულად უნდა შეფასდეს დისტანციური საშუალებების გამოყენების ზეგავლენა მართლმსაჯულების ხარისხზე და მიღებული იქნას ზომები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრენინგები ახალი ტექნოლოგიის გამოყენებაში მართლმსაჯულების სისტემის სუბიექტების უნარების გაუმჯობესების მიზნით;
- პანდემიის დროს მიღებული გამოცდილება შესაძლოა გამოყენებული იყოს მომავალში მართლმსაჯულების სისტემაში ინოვაციური ტექნოლოგიების დასანერგად.

### 4.3. ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

2020 წლის 24 ივნისს, ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება კოვიდ-19-ის პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდეგ მოსამართლეთა როლის შესახებ.<sup>6</sup> განცხადების თანახმად, პანდემიის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ, მოსამართლეების ქმედითმა როლმა უნდა გაზარდოს საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ და განამტკიცოს ევროპული კონვენციის გამოყენება, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებთან ერთად. სასამართლო ხელისუფლების სამოქმედო ფუძემდებლური პრინციპები და სტანდარტები სრულად რჩება ძალაში.

პანდემიის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ სასამართლო სისტემისთვის სამოქმედო გეგმების განსაზღვრის საკითხი. თავს იჩენს რიგი დავები და საზოგადოების დაბრუნება ცხოვრების ჩვეულ რიტმში და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება დამოკიდებული იქნება ეროვნული სასამართლოების მიერ დავების სწრაფ გადაწყვეტაზე.

საბჭოს თავმჯდომარის აზრით, სასამართლო სხდომების ონლაინ მაუწყებლობა, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში გამოიყენება სასამართლოს სხდომებზე დასწრების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კიდევ უფრო მეტად გამართლებულია პანდემიის დროს, ვინაიდან სხდომების საჯაროდ ტრანსლირება ცალსახად ახდენს დემონტრირებას, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება ღიად და საჯაროდ.

სასამართლო სისტემას უნდა ჰქონდეს ადეკვატური რესურსი, რომ თავი გაართვას საკუთარი ფუნქციების შესრულებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული მართლმსაჯულებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების არსებობა.

პანდემიის პერიოდში, სასამართლოებში, სავარაუდოდ, შევა ახალი ტიპის საქმეები, რომლებიც პირებზე კარანტინისა და საგანგებო ვითარების მოთხოვნების დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციებს შეეხება. შეიძლება საჭირო გახდეს საგანგებო ვითარების მარეგულირებელი

<sup>6</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), The role of judges during and in the aftermath of the COVID-19 pandemic: lessons and challenges, CCJE(2020)2, სტრასბურგი, 24 ივნისი, 2020 წ., (იხ. <https://rm.coe.int/ccje-2020-2-statement-of-the-ccje-president-3-lessons-and-challenges-c/16809ed060>, ნანახია 22.07.2020).

კანონმდებლობის გადახედვა კონსტიტუციური და ადამიანის უფლებების ქრილში.

გადაუდებელი მდგომარეობის დროს გადამზადების ინიციატივები არ უნდა შეჩერდეს და მოსამართლეებისთვის ონლაინ ტრეინინგები უნდა ჩატარდეს.

საბჭოს რეკომენდაციაა, რომ საქმეების განაწილება და პრიორიტეტიზაცია უნდა იყოს სათანადოდ რეგლამენტირებული და პოლიტიზირება მკაცრად უნდა აღიკვეთოს.

საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, საქმეების პრიორიტეტიზაციისას ეკონომიკური საკითხების გადაჭრაზე ადამიანის უფლების საპირწონედ ზედმეტად მეტი ყურადღება არ უნდა გამახვილდეს. საქმეების პრიორიტეტიზაცია უნდა ემყარებოდეს სამართლიან და ობიექტურ კრიტერიუმებს. უნდა იქნას განხილული მედიაციის ფართო გამოყენებით სასამართლოების განტვირთვის შესაძლებლობა.

#### 4.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქვემოთ განხილული საქმეები შეეხება განმცხადებლების, ძირითადად, ბრალდებულების, მონაწილეობას ეროვნულ დონეზე მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში ვიდეოკონფერენციის მეშვეობით მონაწილეობას საპატიმრო დაწესებულებიდან. აღნიშნული საქმეები განსაკუთრებით რელევანტურია, ვინაიდან ყველა საქმე, რომელზეც პროექტის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდა, იყო სისხლის სამართლის კატეგორიის, სადაც პატიმრობაში მყოფი ბრალდებული ყოველთვის ერთვებოდა დისტანციურად, საპატიმრო დაწესებულებიდან.

*მაჩჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ, 2006*

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოუწია, ემსჯელა ეროვნულ დონეზე სასამართლო განხილვაში განმცხადებლის ვიდეოკონფერენციის გზით მონაწილეობაზე, იყო მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ.<sup>7</sup> ადამიანის

<sup>7</sup> იხ. *მაჩჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (Marcello Viola v. Italy)*, განაცხადი no. 45106/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის მონანილეობა საქმის განხილვაში ვიდუოკონფერენციის გზით, თავისთავად არ არღვევს კონვენციას, მაგრამ გარდა იმისა, რომ ამ ღონისძიების გამოყენებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნებს, რაც კონვენციის მე-6 მუხლით არის გათვალისწინებული.<sup>8</sup>

*სახნოვსკი ხუსეთის წინააღმდეგ, 2010*

დიდმა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში<sup>9</sup> გაიმეორა მარჩელო ვიოლას საქმეზე გაკეთებული განმარტება, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ბრალდებულის დისტანციური მონანილეობა არ არღვევს სამართლიანი საქმის განხილვის უფლებას იმ პირობით, თუ ბრალდებულს ექნება შესაძლებლობა, ტექნიკური დაბრკოლებების გარეშე თვალი ადევნოს საკუთარ პროცესს და მიეცემა საშუალება, რომ მოუსმინონ, ასევე იქონიოს ეფექტიანი და კონფიდენციალური კომუნიკაცია საკუთარ დამცველთან. ეს საქმე მნიშვნელოვანია სწორედ დამცველთან კომუნიკაციის კონფიდენციალობის კუთხით.

აღნიშნულ საქმეში, ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა ჰქონოდა 15 წუთიანი კომუნიკაცია საკუთარ ადვოკატთან პროცესის დაწყებამდე, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის სირთულის მხედველობაში მიღებით ეს დრო არ იყო საკმარისი. ასევე ამ საქმეში ბრალდებულსა და ადვოკატს ჰქონდათ კომუნიკაცია ვიდუო კონფერენციის იმავე ლინკის მეშვეობით, რომლითაც გაიმართა საქმის განხილვა. მართალია, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფმა პირებმა, აგრეთვე საპატიმრო დაწესებულების ოთახში დამსწრე პირებმა, სადაც ბრალდებული იმყოფებოდა, ადვოკატი და ბრალდებული პირისპირ მართო დატოვეს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საეჭვო იყო, თუ რამდენად უზრუნველყოფდა ვიდუო კონფიდენციალობას. მარჩელო ვიოლას საქმისგან განსხვავებით, სადაც განმცხადებელს შეეძლო თავის ადვოკატთან დაცული სატელეფონო ხაზზე ესაუბრა, სადაც ყოველგვარი მოსმენა გამორიცხული იყო, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი თავის ადვოკატს ესაუბრებოდა სახელმწიფოს მიერ დაინსტალირებული და ოპერირებული ვიდუოკონფერენციის სისტემის მეშვეობით. სასამართლოს აზრით,

<sup>8</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 67.

<sup>9</sup> *Sakhnovski v. Russia*, განაცხადი no. 20272/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

განმცხადებელს სავსებით ლეგიტიმურად შეეძლო თავი არაკომფორტულად ეგრძნო თავისი საქმის ადვოკატთან განხილვისას.<sup>10</sup>

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არაფერი უშლიდა ხელს იმაში, რომ სატელეფონო კომუნიკაცია მოეწყო ბრალდებულსა და ადვოკატს შორის. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდებულმა ქმედითი იურიდიული დახმარებით ვერ ისარგებლა და კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ დარღვევა დაადგინა.<sup>11</sup> სასამართლოს აღნიშნული მიდგომა შენარჩუნდა შემდგომ პრაქტიკაშიც.<sup>12</sup>

#### *ტეპაშკინი ხუსეთის წინააღმდეგ (no. 2), 2010*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე<sup>13</sup> დააკონკრეტა, რომ მაშინაც კი, როდესაც საქმის განხილვა არ არის საჯარო, ბრალდებულს აქვს უფლება, რომ ქმედითად წარადგინოს თავისი საქმე, მოისმინოს და მისდიოს სასამართლო განხილვის მიმდინარეობას და გააკეთოს კომენტარები, რაშიც მას შეიძლება ხელი შეუშალოს ვიდუოკონფერენციის გაუმართავმა მუშაობამ.<sup>14</sup>

#### *ვლადიმირ ვასილევ ვასილევ ვასილევ ხუსეთის წინააღმდეგ, 2012*

აღნიშნულ საქმეზე,<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ ითვალისწინებს პირის უფლებას, პირადად დაესწროს თავისი სამოქალაქო საქმის განხილვას სასამართლოს მიერ, არამედ გულისხმობს პირის უფრო ზოგად უფლებას, რომ თავისი საქმე ქმედითად წარადგინოს სასამართლოს წინაშე და იმავდროულად ისარგებლოს მხარეთა თანასწორობის უფლებით.<sup>16</sup>

<sup>10</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 104.

<sup>11</sup> გადაწყვეტილების პუნქტები 106-107.

<sup>12</sup> იხ. მაგალითად, გოხბუნოვი და გოხბაჩოვი ხუსეთის წინააღმდეგ (*Gorbunov and Gorbachev v. Russia* განაცხადები nos. 43183/06 27412/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 1 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 37. იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება გადაწყვეტილება სახნოვსკის საქმესთან დაკავშირებით.),

<sup>13</sup> ტეპაშკინი ხუსეთის წინააღმდეგ (*no. 2*) *Trepashkin v. Russia*, განაცხადი 14248/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება

<sup>14</sup> პუნქტი 152.

<sup>15</sup> ვლადიმირ ვასილევ ვასილევ ხუსეთის წინააღმდეგ (*Vladimir Vasilyev v. Russia*), განაცხადი no. 28370/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

<sup>16</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 84.

იევდოკიმოვი და სხვები *ხუსეთის წინააღმდეგ*, 2016

ამ საქმეზე,<sup>17</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს პირის ქმედით მონაწილეობას. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია, საკითხი ეხება თუ არა პირის პირად გამოცდილებას, რის გამოც, აუცილებელია, რომ ჩვენება მისგან პირადად იყოს მიღებული. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მოაგვარონ კონკრეტული პრაქტიკული საკითხები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სამართლიანობის მოთხოვნებთან, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მდგომარეობა, სასამართლო დარბაზში ხელმისაწვდომი ტექნიკური აღჭურვილობა და ადგილი, სადაც პირი თავისუფლებააღკვეთილია, ასევე, იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და სხვა რელევანტური გარემოებები. ამ პირობების გათვალისწინების შემდეგ, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა აცნობონ თავისუფლებააღკვეთილ პირს საკმარის დროში, რათა მას ჰქონდეს შესაბამისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად.<sup>18</sup>

რაც შეეხება ვიდუო ბმულისა თუ ვიდუოკონფერენციის აღჭურვილობის გამოყენებას, აღნიშნული თავისთავად არ ეწინააღმდეგება სამართლიანი და საჯარო განხილვის კონცეფციას, მაგრამ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ პატიმარს შეუძლია თვალი მიადევნოს სამართალწარმოებას, ნახოს პირები, რომლებიც ესწრებიან განხილვას და მოისმინოს ნათქვამი და აგრეთვე ნახონ სხვა მონაწილეებმა, მოსამართლემ და მოწმეებმა და მოისმინონ მისი ნათქვამი ტექნიკური ხარვეზების გარეშე.<sup>19</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზს გარეთ სხდომის ორგანიზება საკმაოდ მოცულობითი სამუშაოა. ამას გარდა, ისეთ ადგილას სხდომის ჩატარება, როგორცაა საპატიმრო დაწესებულება, სადაც საზოგადოებას, როგორც წესი, ხელი არ მიუწვდება, დაკავშირებულია ასეთი სხდომის საჯარო ხასიათის შეზღუდვის რისკებთან. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს დამატებითი დამაკომპენსირებელი ღონისძიებები, რომლებითაც უზრუნველყოფს, რომ საზოგადოება და მედია სათანადოდ არიან ინფორმირებულნი

---

<sup>17</sup> იევდოკიმოვი და სხვები *ხუსეთის წინააღმდეგ* (Yevdokimov and Others v. Russia), განაცხადები nos. 27236/05 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>18</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 41.

<sup>19</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 42.

სხდომის ადგილის შესახებ და მათ ქმედითად მიუწვდებათ ხელი სხდომაზე დასასწრებად.<sup>20</sup>

და ბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები ირჩევენ პროცედურულ გზას, რომელიც აკომპენსირებს პირის პირადად დაუსწრებლობას სასამართლო სხდომის დარბაზში, მათ მოეთხოვებათ იმის გადამოწმება, რომ არჩეული გამოსავალი შესაბამისობაშია პირის უფლებასთან, ქმედითად წარადგინოს საქმე სასამართლოს წინაშე და არ აყენებს მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით.<sup>21</sup>

#### 4.5. ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება

პანდემიის დროს მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება ითვალისწინებს ღონისძიებების ფართო სპექტრს<sup>22</sup>, მათ შორისაა:

- ელექტრონული მართლმსაჯულების ნახალისება (ხორვატია, ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საბერძნეთი, პორტუგალია, რუსეთი);
- დისტანციური სერვისების ნახალისება (დოკუმენტების მიღება-ჩაბარება ფოსტით ან ელექტრონული ფორმით (მოლდოვეთი);
- კრიზისის მენეჯმენტის გუნდის შექმნა, რომელიც შედგება როგორც ადგილობრივი სასამართლოების, ასევე ცენტრალური აპარატის წარმომადგენლებისგან და რომლის ფუნქციაა პანდემიის პერიოდში კრიზისებზე რეაგირება, რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა (დანია);
- კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქმეების იდენტიფიცირება, რომლებზეც სამართალწარმოება არ უნდა შეჩერდეს, ხოლო სხვა საქმეებზე კი მოხდეს სხდომების გადადება (დანია, რუსეთი, სლოვაკეთი);
- სხდომების გადადება იმ საქმეებზე, რომლებიც მკაცრ საპროცესო ვადებს არ უკავშირდება და სხდომების გამართვა მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, რაც გადაუდებელია მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის (ავსტრია);
- სასამართლოს აპარატის იმ წარმომადგენლებისთვის, რომელთა

<sup>20</sup> გადანყვეტილების პუნქტი 43.

<sup>21</sup> გადანყვეტილების პუნქტი 47.

<sup>22</sup> Management of Judiciary – Compilation of Comments by Country (იხ. <https://www.coe.int/en/web/cepej/compilation-comments> ნანახია 20.07.2020)

- სასამართლოში ფიზიკური მოსვლა არ არის აუცილებელი სახლიდან მუშაობის შესაძლებლობის მიცემა (ავსტრია);
- სპეციალური გაიდლაინების დამტკიცება, რომლებიც ეხება სასამართლო სისტემის მუშაობას პანდემიის დროს (აზერბაიჯანში მსგავსი გაიდლაინები მიღებული იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ);
  - სასამართლო შენობების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მხოლოდ მხარეებით (ბელგია);
  - სასამართლოს სამუშაო საათების შეზღუდვა (იტალია);
  - სასამართლო შენობების შესასვლელში კორესპონდენციის ჩასაგდები ყუთების დადგმა (ბელგია);
  - სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის შეზღუდვა და დისტანციური კომუნიკაციისთვის პრიორიტეტის მინიჭება (ბოსნია და ჰერცეგოვინა);
  - სასამართლო აპარატისთვის სამუშაო საათების შეზღუდვა (ბოსნია და ჰერცეგოვინა).
  - გარკვეული კატეგორიის საპროცესო ვადების შეჩერება (ბოსნია და ჰერცეგოვინა, პორტუგალია, ესპანეთი).

## 5. ეროვნული საკანონმდებლო რეგულირება/ნორმატიული ჩარჩო

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დისტანციურ რეჟიმში სხდომის ჩატარებასა და საპროცესო მოქმედებების განხორციელებას საპროცესო კანონმდებლობა პანდემიამდეც ითვალისწინებდა. კერძოდ, სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულის დისტანციურად ჩართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი; მხარის დისტანციურად ჩართვის შესაძლებლობას განსაზღვრავს ამავე კოდექსის 188-ე მუხლი; მოწმის დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობას ითვალისწინებს ამავე კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის მე-6 ნაწილი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პატიმრობის კოდექსით დადგენილი საკითხების განხილვისას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია პირის ჩართვა დისტანციური საშუალებით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ეს შესაძლებლობები



მასშტაბურად არასოდეს ყოფილა გამოყენებული. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზოგადად დისტანციური სხდომების გამართვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

2020 წლის 13 მარტს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც რეკომენდაცია გაუწია, მათ შორის, საერთო სასამართლოებში გასატარებელ შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის გადადება (გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა);
- საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;
- სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვა;
- სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა რაოდენობის შეზღუდვა;
- სასამართლოს შენობაში მოქალაქეების არამიზნობრივი გადაადგილების შეზღუდვა;
- მოქალაქეთა მისაღებში სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობის შეზღუდვა არაუმეტეს 20 ადამიანით;
- სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებების გადადება;
- მოქალაქეთა ინფორმირება სასამართლოში არსებული დისტანციური სერვისების თაობაზე;
- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა დოკუმენტაციის მიღება მოქალაქეთა მისაღებში განთავსებული სპეციალური ყუთების მეშვეობით;
- სასამართლოს იმ თანამშრომლების მუშაობა დისტანციურ რეჟიმში, რომელთა ფიზიკური არყოფნა არ შეაფერხებს სასამართლოს საქმიანობას.

საქართველოს პრეზიდენტის 21 მარტის დეკრეტის მე-7 მუხლით დადგინდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე, მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2020 წლის 22 მაისს და შემდეგ 14 ივლისს შესული საკანონმდებლო ცვლილებით, 332

<sup>5</sup>მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განისაზღვრა დისტანციურად სხდომების ჩატარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ

ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა;

ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩატარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332<sup>5</sup> მუხლის მეორე ნაწილით განისაზღვრა, რომ დისტანციური სხდომის გამართვის შემთხვევაში მასში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით.

2020 წლის 5 ივნისს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რეკომენდაციების ახალი პაკეტი დაამტკიცა<sup>23</sup>, რომელშიც ყურადღება გამახვილდა შემდეგ ღონისძიებებზე:

- სასამართლოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას ან დისტანციურ განხილვას, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- სხდომაზე დამსწრე პირთა შორის უნდა იქნას დაცული 2 მეტრიანი დისტანცია;
- სასამართლო შენობაში ყოფნა დაიშვება მხოლოდ პირბადის გამოყენებით;
- მოქალაქეთა მისაღებში უნდა მოეწყოს გამჭვირვალე დამცავი ბარიერები;
- მოქალაქეები უნდა ნახალისდნენ, რომ ისარგებლონ სასამართლოს ელექტრონული სერვისებით;
- სასამართლოს პერსონალმა, რომლის ფიზიკური ყოფნა სასამართლო შენობაში არ არის აუცილებელი, უნდა იმუშაოს დისტანციურად.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს რეკომენდაცია მოქმედებს მის გაუქმებამდე, შესაბამისად, 2020 წლის 25 ივლისის მდგომარეობით, ის კვლავ ძალაშია.

<sup>23</sup> <http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3672>

## 6. გამოვლენილი პრობლემის მოკლე შეჯამება

დისტანციური სამართალწარმოების მასშტაბური შემოღება სასამართლო სისტემისათვის საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო. ელექტრონული მართლმსაჯულების განხორციელებას რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოვლინდა. ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები შეიძლება პირობითად დავყოთ - გამოსწორებად და იმანენტურ პრობლემებად.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური არის საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის, განსაკუთრებით კი რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების საინფორმაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი ცოდნა და უნარები, რაც ართულებს მათ ჩართვას დისტანციურ პროცესში და იწვევს პროცესის დაწყების შეფერხებას. პრობლემას წარმოადგენს ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის მიმართ დამოკიდებულება - სამწუხაროდ, ადვოკატების და მოსამართლეების გარკვეული ნაწილი არ მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. ასევე არსებობს მოსამართლეთა და მართლმსაჯულების მომხმარებელთა კატეგორია, რომელიც ელექტრონული მართლმსაჯულების ნებისმიერ ფორმას ეწინააღმდეგება.

ტექნიკურ პრობლემებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დისტანციური სხდომების დროს ხმისა და გამოსახულების დაბალი ხარისხი, სასამართლოში აღჭურვილი დარბაზების არასაკმარისი რაოდენობა, ასევე საპატიმრო დაწესებულებებში ვიდეო დარბაზების სიმცირე, სხდომის მიმდინარეობისას ბრალდებულსა და ადვოკატს შორის დაცული კომუნიკაციის შეუძლებლობა;

დისტანციური სხდომებისთვის სათანადო ტექნიკური პირობების არ არსებობა, ასევე მონაწილეთა უნარ-ჩვევების ნაკლებობა და სამართლებრივი რეგულაციის ხარვეზები გამოსწორებადი პრობლემებია. ამისგან განსხვავებით, პრობლემების ნაწილი დისტანციური მართლმსაჯულებისთვის იმანენტურია და მათი მოგვარება მხოლოდ რეალური სხდომების აღდგენის შემთხვევაში არის შესაძლებელი. მაგალითად, დახურული სასამართლო სხდომის ჩატარებისას არსებობს

რისკი, სასამართლო სხდომას დაესწროს არაუფლებამოსილი პირი. კერძოდ, შესაძლოა სხდომის ელექტრონული ლინკი რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახდეს არაუფლებამოსილი პირისათვის (ჰაკერული გზით, ან სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირის მხრიდან მესამე პირზე წვდომის დაშვების შეთხვევაში). ასევე, არსებობს რისკი, რომ დახურული სასამართლო სხდომის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი მოხვდეს საჯარო სივრცეში.

სირთულეს წარმოადგენს დისტანციურად ჩართული მონმის ვინაობის დადგენა; მონმის დაკითხვის დროს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა მანიპულაციებს, რამაც ხელი შეუშალოს მონმის ეფექტიან დაკითხვას; შეუძლებელია მონმის დაკითხვა ან ნივთმტკიცების დათვალიერება იმ ეფექტურობით, რაც რეალური რეჟიმის დროს;

სასამართლო პროცესების საჯაროობაასა და გამჭვირვალობას ამ ეტაპზე ვერ მივიჩნევთ ადვილად გამოსწორებად პრობლემად. სამწუხაროდ, ამჟამინდელი მდგომარეობით, საზოგადოებას არ აქვს წვდომა სასამართლო პროცესებზე, რითაც ირღვევა საჯაროობის პრინციპი.

ნაკლოვანებებთან ერთად, დისტანციურ სასამართლო სხდომებს აქვთ გარკვეული უპირატესობები, როგორცაა პროცესის ხარჯის დაზოგვა, დარბაზში ლოდინის საჭიროების არ არსებობა; ნებისმიერი ადგილიდან მხარის ჩართვის შესაძლებლობა, შშმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა.

## 7. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები იყოფა ორ ნაწილად: 1) კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები და ხარვეზები, 2) დისტანციური სხდომების უპირატესობები.

შედეგების ძირითადი ნაწილი ეთმობა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ პრობლემებს, რომელიც იყოფა 3 ჯგუფად: 1) სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის; 2) ტექნიკური ხასიათის და 3) იმანენტური პრობლემები (ანუ პრობლემები რომელთა აღმოფხვრა მხოლოდ რეალური სხდომების გამართვის შემთხვევაშია შესაძლებელი).

## 7.1. სამახიდეები და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები

პროექტის განხორციელებისას, პროექტის გუნდმა მოახდინა რიგი პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც თან ახლდა ელექტრონული მართლმსაჯულების განხორციელებას. ელექტრონული მართლმსაჯულების შეფასებისას, პროექტის გუნდი ხელმძღვანელობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, რომლის თანახმადაც, პირთა მონაწილეობას სასამართლო განხილვაში ვიდუკონფერენციის გზით ცალსახად უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი (რაც მოცემულ შემთხვევაში, ადვილი დასადგენია და ეს ლეგიტიმური მიზანი არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა). თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დისტანციურად წარმართულ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ლეგიტიმურ მიზანთან ერთად, კუმულაციურად შემოწმებას ექვემდებარება მეორე საკითხიც - რამდენად უზრუნველყოფს სამართალწარმოების ჩატარებას თითოეულ საქმეზე მიღებული ზომები სამართლიანი სასამართლო განხილვას, მე-6 მუხლის შესაბამისად.<sup>24</sup>

სხდომების საჯაროობა: ელექტრონული მართლმსაჯულების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ პროცესის საჯაროობა. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. როგორც პანდემიის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგ მოქმედი კანონმდებლობა ამ წესიდან რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებდა. 2020 წლის 1 მაისს პროექტმა მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ელექტრონულ პროცესებზე მონიტორების დაშვება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიმდინარე წლის 5 მაისს მიღებული პასუხით, პროექტს უარი ეთქვა ონლაინ სხდომებზე დაშვებაზე. წერილი დასაბუთებული იყო იმით, რომ „სასამართლო სისტემა მოკლებულია შესაძლებლობას, დისტანციურ პროცესებში ჩართოს მონიტორები“. წერილში ასევე მითითებული იყო ის, რომ პროექტის მონიტორები შეძლებენ პროცესებზე დასწრებას, მას შემდეგ რაც „ქვეყანა მალე დაუბრუნდება ჩვეულებრივ რეჟიმს“. აღნიშნულის შემდეგ, პროექტმა ინდივიდუალურად მიმართა მოსამართლეებს დისტანციურ პროცესებზე დასწრების მოთხოვნით. მოსამართლეთა ძალიან მცირე რაოდენობამ განაცხადა თანხმობა ონლაინ სხდომებზე მონიტორების დასწრებაზე, თუმცა უმეტესობამ უარის მიზეზად

---

<sup>24</sup> იხ. მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (*Marcello Viola v. Italy*), განაცხადი no. 45106/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 72,

დაასახელა მრავალი პირის ჩართულობით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზები. აღნიშნულის მიუხედავად, დისტანციური პროცესების დროს საჯაროობა სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან, ერთი მხრივ ირღვევა ბრალდებულის უფლება საქმის საჯარო განხილვაზე, ხოლო მეორე მხრივ - საზოგადოებას არ აქვს უფლება, დააკვირდეს მართლმსაჯულების განხორციელებას.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეს მიდგომა ეწინააღმდეგება ევროპის მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც, ნორმალურ პირობებში, ონლაინმაუწყებლობა გამოიყენება, რათა სასამართლო პროცესები უფრო ფართო აუდიტორიისთვის გახადოს ხელმისაწვდომი და უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვიოს სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე. საბჭოს მოსაზრებით, მით უმეტეს, საგანგებო ვითარებაში, ონლაინ მაუწყებლობა უნდა ემსახუროდეს მართლმსაჯულების ღიად და საჯაროდ განხორციელებას.<sup>25</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოთაღნიშნული მიდგომა აგრეთვე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას, რომლის თანახმადაც, მსგავს შემთხვევებში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს დამატებითი დამაკომპენსირებელი ღონისძიებები, რომლებითაც უზრუნველყოფს, რომ საზოგადოება და მედია სათანადოდ არიან ინფორმირებულნი სხდომის ადგილის შესახებ და მათ ქმედითად მიუწვდებათ ხელი სხდომაზე დასასწრებად.<sup>26</sup>

ელექტრონული სხდომების საჯარო ტრანსლირება: საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, სხდომების ვიდეო-აუდიო ჩანერის უფლება აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხოლო თუ მაუწყებელი არ სარგებლობს ამ უფლებით, მაშინ ასეთი უფლებით სარგებლობა შეუძლია სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს (რომელსაც სასამართლო გამოავლენს წილისყრით). საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე. შესამაბისად, კანონის არსებული ჩანაწერით გამშუქებული მედიასაშუალების რაოდენობა შეზღუდულია მხოლოდ

---

<sup>25</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), The role of judges during and in the aftermath of the COVID-19 pandemic: lessons and challenges, CCJE(2020)2, პუნქტი 16.

<sup>26</sup> იევდოკიმოვი და სხვები *ჩინააღმდეგ* (Yevdokimov and Others v. Russia), განაცხადები nos. 27236/05 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 43.

ერთი მაუწყებლით, რაც დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნებით არის განპირობებული. მეორე მხრივ, ცხადია, ეს რეგულაცია დისტანციურ სხდომაზე ვერ გავრცელდება, ვინაიდან ონლაინ სხდომებზე დამსწრე მაუწყებელთა რაოდენობის შეზღუდვა აზრს მოკლებულია. ამის მიუხედავად, დღეისათვის გაუგებარია, რა ნორმით უნდა იხელმძღვანელოს მედიასაშუალებამ, რომელსაც სურს დისტანციური სასამართლო სხდომის ჩაწერა და ტრანსლირება. აღნიშნული საკითხი დაისვა ჟურნალისტთა ფოკუს ჯგუფის შეხვედრისას 2020 წლის 24 ივლისს. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ მედიასაშუალებებს შეუზღუდავად უნდა მიეცეთ წვდომა ელექტრონულ სხდომებზე, რომლებიც საჯაროა და შეუზღუდავად უნდა შეეძლოს მათი ჩაწერა, გამოყენება და ტრანსლირება.

პროექტი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტების ეს მოსაზრება დასაბუთებულია, ვინაიდან საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13<sup>1</sup> მუხლი საჯარო სხდომების გაშუქების კუთხით რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს. ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ დაუშვებელია ნაფიც მსაჯულთა ფოტო-ვიდეო გადაღება, ხოლო მე-6 მუხლში მითითებულია, რომ დაზარალებულის ან მოწმის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე აკრძალოს დაზარალებულის ან მოწმის გადაღება.

პროექტი მიიჩნევს, რომ დისტანციური სხდომების მედიასაშუალებებით გაშუქების საკითხი დამატებით რეგულირებას საჭიროებს, მაგალითად, დასარეგულირებელია საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მედია საშუალებას ელექტრონული სხდომის პირდაპირ ეთერში ტრანსლირება. პროექტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა შეეძლოს, მედიასაშუალებას აუკრძალოს საჯარო სხდომის პირდაპირ ეთერში ტრანსლირება, ან დროებით აუკრძალოს ამ ჩანაწერის გავრცელება იმ შემთხვევაში, როდესაც სხდომაზე იკითხება მოწმე, რომლის ჩვენებაც არ უნდა იქნას მოსმენილი სხვა მოწმეების მიერ, სსსკ. 118-ე მუხლის შესაბამისად<sup>27</sup>

---

<sup>27</sup> მოწმე უნდა დაიკითხოს იმ მოწმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. დაკითხვის დასრულების შემდეგ, მოსამართლემ უნდა განუმარტოს მოწმეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება.

ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია სხდომის მიმდინარეობისას: ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, რომელიც პროექტის გუნდმა დააფიქსირა ელექტრონული მართლმსაჯულების მონიტორინგის პროცესში, უკავშირდება სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის პოზიციების შეთანხმებას, ადვოკატის მიერ კლიენტისთვის სათანადო განმარტებების მიწოდებას. რეალურ პროცესში ეს ხორციელდება გვერდიგვერდ მყოფი ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციით. დისტანციურ პროცესში გამოიკვეთა ამ პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრის სამი ხერხი: 1. ადვოკატსა და პატიმრობაში მყოფ კლიენტს შორის პოზიციების შეთანხმება ხდება სხდომამდე, მათი შეხვედრით. 2. სხდომამდე ადვოკატს და კლიენტს ვებქსის პროგრამაში ეძლევათ კომუნიკაციის საშუალება 3. სხდომის დროს მოსამართლე აცხადებს შესვენებას და ადვოკატისა და კლიენტის გარდა, ყველა მონაწილე გადის სისტემიდან, ხოლო ბადრაგი გადის იმ ოთახიდან, სადაც პატიმარი იმყოფება. ბოლო ორ შემთხვევაში, პროგრამა აკეთებს ჩანერას, რის გამოც კომუნიკაციის კონფიდენციალობა არ არის დაცული. ზოგიერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ დისტანციური კომუნიკაციის მეშვეობით ბრალდებულთან ათანხმებს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც არ არის მკაცრად კონფიდენციალური.

პროცესების მონიტორინგისას, ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატსა და ბრალდებულს შორის გაიმართა საუბარი პროცესის დაწყებამდე, მათ შორის, პირად საკითხებზე და საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე, საუბარი არ ყოფილა კონფიდენციალური და ესმოდათ პროგრამაში ჩართულ სხვა მონაწილეებს.

ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაციის კონფიდენციალობა არის ის ცენტრალური საკითხი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს კომუნიკაცია თავის ადვოკატთან მესამე მხარის მიერ მოსმენის რისკის გარეშე, არის დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა და მომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან.<sup>28</sup> თუ ადვოკატს არ შეუძლია, თავის კლიენტთან

---

<sup>28</sup> კასტრავეტი მოდოვას წინააღმდეგ (*Castravet v. Moldova*), განაცხადი no. [23393/05](#), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 49.



ითათბიროს და მიიღოს მისგან კონფიდენციალური ინფორმაცია ასეთი ზედამხედველობის გარეშე, მისი დახმარება ყოველგვარ დანიშნულებას დაკარგავდა მაშინ, როდესაც კონვენცია გამიზნულია, რომ უზრუნველყოს პრაქტიკული და ქმედითი უფლებები.<sup>29</sup>

პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული ზემოაღნიშნული პრობლემა პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. სახნოსვსკის საქმეში დიდმა პალატამ გამოთქვა ეჭვი, რომ სახელმწიფოს მიერ გაყვანილი სისტემა, რომელსაც სახელმწიფოვე უწევდა ადმინისტრირებას, შესაძლებელი იყო, რომ სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალობას და კონვენციის დარღვევა დაადგინა. მოცემულ შემთხვევაში, კომუნიკაციის ჩანერა ცალსახად იძლევა საფუძველს იმის დასადგენად, რომ კონფიდენციალობა ასეთ პირობებში ვერ იქნება გარანტირებული.

დახურული სასამართლო სხდომები: როგორც მოსამართლეებმა აღნიშნეს, ელექტრონულად თითქმის შეუძლებელია დახურული სასამართლო სხდომის ჩატარება (მაგალითად არასრულწლოვანთა პროცესის, ან სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად), ვინაიდან არ არსებობს რაიმე გარანტია, რომ სხდომის მიმდინარეობა არ იქნება ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის.

70 წელს გადაცილებულ პირთა სხდომებში მონაწილეობა: პანდემიის დროს პრობლემური იყო 70 წელს გადაცილებული პირების მონაწილეობა პროცესში, რომლებსაც საგანგებო ვითარების დროს ეკრძალებოდათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება. შესაბამისად, მონაწილეობის ერთადერთი ფორმა იყო სხდომაზე დისტანციური ჩართვა. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ასაკის მოქალაქეებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ სათანადო კომპიუტერული უნარ-ჩვევები და იძულებული არიან დახმარებისთვის სხვებს მიმართონ.

მხარის მიერ ტექნიკური საშუალების არქონის მომიზეზება: მხარეს შეუძლია, სათანადო ტექნიკური საშუალების არქონის მომიზეზებით გააჭიანუროს სამართალწარმოება. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ყოველთვის უნდა სთავაზობდეს პროცესის მონაწილეს სასამართლოში ფიზიკურად მოსვლას უშუალოდ სხდომის დარბაზში, ან ცალკე გამოყოფილი დარბაზიდან ჩართვას.

<sup>29</sup> არტიკო იტალიის წინააღმდეგ (*Artico v. Italy*), განაცხადი no. 6694/74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 33.

ვიდეო კავშირის გათიშვა სხდომის მიმდინარეობისას: როგორც მოსამართლეებმა აღნიშნეს ზოგჯერ პროცესის მონაწილეები გამოსახულებას თიშავენ, რაც მოსამართლეთა ნაწილის აზრით, მიუღებელია. პროექტი მიიჩნევს, რომ სასამართლო სხდომაში მონაწილეობა ყოველთვის გულისხმობს სხდომაზე დასწრებას, რისი გადამონშებაც მხოლოდ აუდიო კავშირით შეუძლებელია. შესაბამისად, სხდომაში მხოლოდ აუდიო კავშირით მონაწილეობა უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას დაშვებული.

დისტანციურად ჩართული მონაწილის ვინაობის დადგენა: პრობლემურია დისტანციურად ჩართული მონაწილის ვინაობის დადგენა. რეალური სხდომების დროს დისტანციურად ჩართული მონაწილის ვინაობას ადასტურებს დარბაზში მყოფი პირი, ხოლო დარბაზში მყოფი მონაწილგან მოსამართლე ითხოვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას. ვირტუალურ პროცესებში მონაწილის ვინაობის დადგენა ხდება მხოლოდ მონაწილესთან ზეპირი კომუნიკაციის მეშვეობით, რაც შეიცავს საფრთხეებს პროცესში არასათანადო პირის მონაწილეობის თავალსაზრისით.

ერთი მონაწილის მიერ მეორე მონაწილის ჩვენების მოსმენა: მონაწილე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული შეიძლება უსმენდეს დისტანციურ სხდომაზე დაკითხულ სხვა მონაწილეს, რაც სამართლებრივი თავალსაზრისით პრობლემურია.

მონაწილის დაკითხვისას არსებული პრობლემები: როგორც გამოკითხულმა ადვოკატმა აღნიშნა, ადვოკატს შეუძლია რეალურ რეჟიმში დაკითხვის დროს არაკეთილსინდისიერი მონაწილე ადვილად „გამოტეხოს“, რაც დისტანციური დაკითხვის დროს რთულია. გამოკითხულთა ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლოა მონაწილის დაკითხვის დროს ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა სახის მანიპულაციებს, კერძოდ: მონაწილეს კრიტიკული შეკითხვის დასმის დროს მონაწილესთან კავშირი შეიძლება ხელოვნურად გაწყდეს, ხოლო კავშირის აღდგენის შემდეგ მონაწილე შეიძლება „სხვანაირად“ იყოს მომზადებული. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, პრობლემურია მონაწილესთან კარნახის შესაძლებლობა, კარნახი შეიძლება ხორციელდებოდეს მონაწილესთან ოთახში მყოფი სხვა პირის მეშვეობით ან ტექნოლოგიის გამოყენებით. მაგალითად, თუ მონაწილე ყურსასმენებით სარგებლობს, შესაძლოა მას „სუფლიორის“ ხმა ყურსასმენებში მიეწოდებოდეს (ხოლო დარბაზის ხმას დინამიკიდან ისმენდეს), რაც იძლევა „ლაივ“ რეჟიმში პასუხების სრულად კარნახის შესაძლებლობას; ასევე, შესაძლოა, მონაწილე დაწერილს კითხულობდეს და ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩეს როგორც მოსამართლისთვის, ასევე

მხარეებისთვის. მოწმემ, ასევე, მისთვის დელიკატური შეკითხვის დასმისას შეიძლება მოიმიზეზოს, რომ შეკითხვა არ ესმის, რაც რეალურად რთული დასადგენია. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე პოლიციის განყოფილებიდან იკითხება, ის შესაძლოა იმყოფებოდეს პოლიციის მხრიდან ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ<sup>30</sup>. მოწმის დაკითხვის დროს, მხარემ შესაძლოა მიანიშნოს მას პასუხზე და ეს იმით ახსნას, რომ მოწმემ ვერ გაიგო დასმული შეკითხვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297 მუხლის „გ“ პუნქტით, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე; იმ შემთხვევაში, თუ მოწმის დაკითხვის დროს გამოვლინდა მოწმეზე ზემოქმედება, ან დისტანციური წესით სხდომის წარმართვისას ნივთმტკიცების გამოკვლევა არ მოხდა სათანადო წესით, ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა დასვან საკითხი იმავე მტკიცებულების თავიდან გამოკვლევის თაობაზე სსკ. 297-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო სააპელაციო სასამართლებმა უნდა განავითარონ სათანადო პრაქტიკა, თუ რა შემთხვევებში წარმოქმნის დისტანციური პროცესი მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევის საჭიროებას, რაც უნდა მოხდეს სააპელაციო წესით.

მხარეთა თანხმობა დისტანციურ სხდომაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე: სამოქალაქო საქმეებზე ელექტრონული პროცესების სისტემატურ გამოყენებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ მოპასუხე, როგორც წესი, იშვიათად თანხმდება სხდომის ელექტრონული ფორმით ჩატარებაზე. მეორე მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სხდომის დისტანციურად ჩატარების ზოგად შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე დისტანციური სხდომები მხოლოდ იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციით არის გათვალისწინებული.

---

<sup>30</sup> იხ. აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს, 2020 ლინკი: [shorturl.at/ajln2](http://shorturl.at/ajln2)

წესრიგის დაცვა დისტანციური სხდომების ჩატარებისას: ზოგიერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მოსამართლისთვის დისტანციური პროცესის მართვა უფრო რთულია, ვინაიდან ძნელია, მოსამართლემ აღკვეთოს მხარეთა სპონტანური წამოძახილები. სასამართლო სხდომების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა და მოსამართლე ვერ აკონტროლებს მონაწილეთა თვითნებურ ჩართვებს, რაც ართულებს სხდომის მიმდინარეობის ჯეროვან აღქმას.

წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა: დისტანციური სხდომებისას პრობლემურია დაკითხვის დროს მონაწილისთვის წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულების დემონსტრირება, ასევე წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა, ვინაიდან დედანი სასამართლოშია.

დაკავებული პირის მიმართ არაჯეროვანი მოპყრობის ფაქტის გადამოწმება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის საქმის დისტანციური წესით განხილვისას მოსამართლე უშუალოდ ვერ ამოწმებს დაკავებული პირის მდგომარეობას, რათა გამოირიცხოს მასზე არაჯეროვანი მოპყრობის ეჭვი. რეალური სხდომის დროს, დარბაზში ფიზიკურად წარმოდგენილ ბრალდებულს უფრო თავისუფლად შეუძლია ისაუბროს მის მიმართ განხორციელებულ არაჯეროვან მოპყრობაზე, ვიდრე საპატიმრო დაწესებულებიდან დისტანციური ჩართვის შემთხვევაში<sup>31</sup>.

დისტანციურად ჩართული ბრალდებულის მხრიდან პროცესზე ვიზუალურად დაკვირვების პრობლემა: ე.წ. ნახევრად დისტანციური პროცესის დროს, საპატიმრო დაწესებულებიდან ჩართული ბრალდებული ხედავს მხოლოდ მოსამართლეს, ვერ ხედავს მონაწილეს, ადვოკატს და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს, რომლებიც იმყოფებიან სხდომის დარბაზში.

დისტანციურად განხილულ საქმეებზე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხი: დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხეს ადგილსამყოფელის მიხედვით. ტერიტორიული განსჯადობის საკითხი სასამართლოს ხელმისაწვდომობას უკავშირდება, თუმცა ეს იწვევს სხვადასხვა

---

<sup>31</sup> იხ. აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს, 2020 ლინკი: [shorturl.at/ajln2](http://shorturl.at/ajln2)

რეგიონის სასამართლოების დატვირთვის არათანაბრობას. ამასთან, საქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ. პროექტი მიიჩნევს, რომ დისტანციურად საქმის განხილვის შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი აზრს კარგავს და ნებისმიერ რეგიონში არსებული დავა შეიძლება განიხილოს ნებისმიერი სხვა რეგიონის სასამართლომ. იმისათვის რომ მოხდეს ზოგიერთი საქალაქო სასამართლოს, მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განტვირთვა და პირველი ინსტანციის სასამართლოებზე დატვირთვის თანაბარი გადანაწილება, მხარეთა წახალისების მიზნით დატვირთული სასამართლოდან საქმე შესაძლოა გადაეცეს ნაკლებად დატვირთულ სასამართლოს.


## 7.2. ტექნიკური ხასიათის პრობლემები

პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის რიგი ხარვეზები, რომლებმაც ცალკე თუ კუმულაციურად, შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა შეადგინოს. კერძოდ, იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნა, რომ ვიდეოკონფერენციისას, როდესაც ბრალდებული საპატიმრო დაწესებულებიდან ერთვება, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ის გზა, რომელიც აირჩია, რათა დააკომპენსიროს პირის პირადად დაუსწრებლობა სასამართლო სხდომის დარბაზში, შესაბამისობაშია პირის უფლებასთან, ქმედითად წარადგინოს საქმე სასამართლოს წინაშე და არ აყენებს მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით.<sup>32</sup>

გამოსახულების და ხმის ხარისხი: კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენს ხმისა და გამოსახულების ხარისხი, გამოკითხული ადვოკატების 51%-მა და პროკურორების 57%-მა მიუთითა, რომ დისტანციური სხდომების დროს შეექმნათ ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

---

<sup>32</sup> იევდოკიმოვი და სხვები *ხუსეთის წინააღმდეგ* (Yevdokimov and Others v. Russia), განაცხადები nos. 27236/05 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 47.



გამოკითხვაში მონაწილეობა 121 ადვოკატმა და 19-მა პროკურორმა მიიღო. ამ კონკრეტულ კითხვას 99-მა ადვოკატმა უპასუხა.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დისტანციური პროცესების დროს, ხმა ზოგჯერ იკარგება (წყდება), ზოგჯერ მეორდება, ხოლო ზოგჯერ არასაკმარისად მკაფიოა. უმეტეს შემთხვევაში, ხარისხის ვარდნას იწვევს ინტერნეტის დაბალი სიჩქარე, რომლითაც პროცესის მონაწილე პირი უერთდება დისტანციურ სხდომას. ხშირ შემთხვევაში მოსამართლეს უწევს პროცესის მონაწილის ნათქვამის გამეორება, რათა გასაგები გახდეს სხვა მონაწილეებისთვის.

გამოკითხულთა ნაწილის აზრით, კავშირის ხარისხი უარესდება ელექტრონულ სხდომაში ჩართული ხალხის რაოდენობის მატებასთან ერთად. გამოკითხულთა ნაწილი ამას არ ეთანხმება. დისტანციური სხდომების მონიტორინგის შედეგად პირდაპირი კავშირი სხდომაში ჩართულ პირთა რაოდენობასა და კავშირის ხარისხს შორს არ დადგინდა.

სხდომების მონიტორინგის შედეგად შემდეგი ხარვეზები გამოვლინდა:

- ხმისა და გამოსახულების ხარისხი 3 შემთხვევაში იყო კარგი, 9 შემთხვევაში იყო საშუალო, 8 შემთხვევაში იყო ცუდი. როგორც გამოიკვეთა, ძირითადი პრობლემა არის აუდიოს ხარისხი. პროცესის მონაწილეთა ხმა იკარგება, წყდება ან სხვაგვარად ბუნდოვანდება. განსაკუთრებით შემანუხებელია ხმის გამეორება. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე, მოწმის გარდა ყველა მონაწილის ხმა მეორდებოდა. მოსამართლე იძულებული გახდა, რომ მოწმისთვის უკიდურესად შენელებულად განემართა უფლებები და ჩამოერთმია

ფიცი, ხოლო პროკურორი კითხვებს სვამდა დიდი პაუზებით, რათა თავიდან აერიდებინა ხმის განმეორებით გამონვეული ბუნდოვანება.

- ორ საქმეზე, სადაც მიმდინარეობდა მოწმეთა დაკითხვა, სმენადობა იყო პრობლემური მოწმის ხმა ცუდად ისმოდა.
- ერთ საქმეზე ბრალდებული პროგრამიდან რამდენიმე წუთით გაითიშა, რის გამოც მოსამართლემ ადვოკატს სთხოვა, რომ მისი საუბარი გაემეორებინა ბრალდებულისთვის.
- პროცესებზე დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ მხოლოდ 7 საქმეზე კომუნიკაციის ხარისხი იყო იმ დონის, რომ პროცესის რეალურ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნებოდა. დანარჩენ საქმეებზე გამოიკვეთა, რომ პროცესის ხარისხი იქნებოდა გაცილებით უფრო უკეთესი სხდომის რეალურ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში.

ამ კონტექსტში, დამატებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ.<sup>33</sup> სადაც განმცხადებელი, *inter alia*, დავობდა, რომ ვიდეოკონფერენცია ჩატარდა „წინასწარგანჭვრეტადი სირთულეების“ ფონზე, როგორცაა, დეფექტური ლინკები და ხმის ხარვეზით ტრანსმისია, რამაც გაართულა ბრალდებულის კომუნიკაცია თავის ადვოკატთან.<sup>34</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის აღნიშნული პრეტენზია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების ფარგლებში მოაქცია, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის მინიმალურ გარანტიებს ეხება, თუმცა არსებითად ეს საკითხი არ განუხილავს, ვინაიდან განმცხადებელს პრეტენზია ეროვნულ დონეზე არ ჰქონდა გამოთქმული და შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებები - ამონურულ<sup>35</sup>, თუმცა, როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, მსგავსი ტექნიკური ხარვეზები წინასწარგანჭვრეტადია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს მოგვარებული, რათა უზრუნველყოს ბრალდებულის ადვოკატთან შეუფერხებელი კომუნიკაცია და სასამართლო განხილვაში სრულფასოვანი მონაწილეობა. იევჯოკიმოვის საქმეზე, ზემოთ მოყვანილი ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს

---

<sup>33</sup> იხ. მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (*Marcello Viola v. Italy*), განაცხადი no. 45106/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>34</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 48.

<sup>35</sup> გადაწყვეტილების პუნქტი 74.

ევალეზა, რომ წინასწარ გადაამონმოს და გამორიცხოს მსგვასი ხარვეზები.

ე.წ. ნახევრად დისტანციური სხდომები: კომუნიკაციის ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია ე.წ. ნახევრად დისტანციური სხდომები (როდესაც სხდომის მონაწილეთა ნაწილი დარბაზშია, ხოლო ნაწილი დისტანციურად ერთვება). ბრალდებულს, რომელიც საპატიმრო დაწესებულებიდან არის ჩართული, კარგად არ ესმის პროცესის მონაწილეთა საუბარი (სხდომის დარბაზის მიკროფონი არ არის მიერთებული ვებქსის პროგრამასთან), რის გამოც მოსამართლე იძულებულია გაუმეოროს ბრალდებულს ის რაც ითქვა დარბაზში. ბრალდებული, ასევე ვერ ხედავს დარბაზში მყოფ პროცესის მონაწილეებს.

აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკის მიხედვით, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასებაზე, რომ პირმა ქმედითად ვერ წარადგინა საკუთარი საქმე სასამართლოს წინაშე კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არის ის გარემოება, როცა საპატიმრო დაწესებულებიდან პროცესზე ჩართვისას ბრალდებულს კარგად არ ესმის პროცესის მონაწილეთა საუბარი და ვერ ხედავს დარბაზში მყოფ პრესის მონაწილეებს<sup>36</sup>

პროცესის მონაწილეთა მხრიდან სათანადო ტექნიკის უქონლობა ან ინტერნეტკავშირის დაბალი სიჩქარე: მხარეები, მოწმეები და ზოგჯერ თარჯიმანი არ ფლობს სათანადო ტექნიკას/აღჭურვილობას (კამერა, მიკროფონი, კომპიუტერი) ან აქვს დაბალი ხარისხის ინტერნეტი, რაც აძნელებს, ან აყოვნებს პროცესში მათ მონაწილეობას. იმის გამო, რომ მონაწილეები დროულად ვერ ერთვებიან პროცესში, სხდომების დიდი ნაწილი დაგვიანებით იწყება ან ხდება გადადება<sup>37</sup>. გამოკითხვისას, ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ელექტრონულმა პროცესებმა არა თუ დააჩქარა, არამედ პირიქით, შეანელა საქმისწარმოება. რესპოდენტის განცხადებით, რაოდენობრივად ის ბევრად უფრო მეტ საქმეებს იხილავდა დღის განმავლობაში რეალური ფორმატით, ვიდრე იხილავს

---

<sup>36</sup> იევდოკიმოვი და სხვები *წინააღმდეგ* (Yevdokimov and Others v. Russia), განაცხადები nos. 27236/05 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 42.

<sup>37</sup> იხ. აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს, 2020 ლინკი: [shorturl.at/ajln2](http://shorturl.at/ajln2)



ელექტრონული ფორმატით. ამის მიზეზად, მოსამართლემ სწორედ პროცესების გვიან დაწყება და მხარეების არასათანადო ტექნიკური აღჭურვილობა და ცოდნა მიუთითა. მხარეების მხრიდან არასათანადო ცოდნის გამო, სხდომის მდივანს ესაჩიროება დრო, სანამ მხარეები გაერკვევიან პროგრამით სარგებლობის წესებში.

სინქრონული თარგმანის შეუძლებლობა: ვინაიდან ელექტრონული პროგრამა არ იძლევა სინქრონული თარგმანის შესაძლებლობას, თანმიმდევრული თარგმანი პროცესის ხანგრძლივობას ზრდის.


სათანადოდ აღჭურვილი დარბაზების სიმცირე სასამართლოში და საპატიმრო დაწესებულებებში: დისტანციური პროცესი მოითხოვს როგორც სასამართლო დარბაზების, ასევე საპატიმრო დაწესებულებების ვიდეო დარბაზების შესაბამის აღჭურვას. როგორც აღმოჩნდა, რაიონულ სასამართლოებში ყველა დარბაზი არ არის სათანადოდ აღჭურვილი. საპატიმრო დაწესებულებებში არ არის საკმარისი რაოდენობის ვიდეო დარბაზები, რის გამოც მოსამართლეებს უწევთ რიგში ყოფნა და ლოდინი, რაც აბრკოლებს და აჭიანურებს სხდომების წარმართვას.

სხდომის ჩანაწერის ნაშლა: გამოკითხულმა მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ რამდენიმე შემთხვევაში პროგრამამ არ შეინახა სხდომის ჩანაწერი, რის გამოც საჭირო გახდა სხდომის ოქმის აღდგენა დარბაზის აუდიო და ვიდეო ჩამწერი სისტემების მეშვეობით.

მოძველებული ტექნიკა: როგორც ზოგმა რესპოდენტმა აღნიშნა, სასამართლოში არსებული ძველი მოდელის კომპიუტერები ანელებენ ელექტრონული პროგრამის მუშაობის სიჩქარეს და ხარისხს.

ვიდეო ჩანაწერის გამოკვლევა: პრობლემურია ვიდეო ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების გამოკვლევა პროცესში, ვინაიდან ვიდეოჩანაწერი ირთვება სხვა კომპიუტერში, შემდეგ ხდება ვიდეო თვალის შეტრიალება ამ კომპიუტერის ან ეკრანის მიმართულებით, რაც აუარესებს გამოსახულების ხარისხს.

სასამართლო სერვისები და საქმის მასალების დისტანციური ხელმისაწვდომობა: კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დადგინდეს, რამდენად ეფექტიანად ხდება სასამართლოს სერვისების მიწოდება დისტანციურად. გამოკითხული ადვოკატების 68%-მა და ერთის გრდა ყველა პროკურორმა მიიჩნია, რომ დისტანციური სერვისების კუთხით პრობლემებს არ ხვდება.



გამოკითხვაში მონაწილეობა 121 ადვოკატმა და 19-მა პროკურორმა მიიღო. ამ კონკრეტულ კითხვას 101-მა ადვოკატმა უპასუხა.

ზემოაღნიშნული შედეგების მიუხედავად, ჩაღრმავებული ინტერვიუებით და მიზანმიმართული კითხვებით, ადვოკატთა უმრავლესობამ ელექტრონული მართლმსაჯულების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა მიიჩნია, რაც სწორედ სასამართლოს დისტანციური სერვისების ნაწილია.

სასამართლოს დისტანციური ხელმისაწვდომობა გულისხმობს საქმის მასალების სრულ ხელმისაწვდომობას ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. დღეისათვის, საქმის მასალები ელექტრონულად ხელმისაწვდომია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მხოლოდ პირველ ინსტანციაში, მაგრამ არ არის ხელმისაწვდომი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში. სისხლის სამართლის საქმეებზე საქმის მასალები ელექტრონული ფორმით არ არის ხელმისაწვდომი. საქმის მასალების გაცნობა და გადაღება განსაკუთრებით პრობლემური იყო საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა სასამართლოს მომხმარებლებს ურთულდებოდათ სასამართლოში მისვლა საქმის მასალების გადასაღებად და გასაცნობად. ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, ყველა სასამართლო ელექტრონული ფორმით არ იბარებს დოკუმენტებს. ზოგ შემთხვევაში, კონკრეტულ დოკუმენტებზე (მაგალითად ბაჟის გადახდის ქვითარი, ადვოკატის ორდერი) სასამართლოები ითხოვენ დედანს, რაც გამორიცხავს დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ჩაბარებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალების გადაუცემლობა არღვევს მხარეთა თანასწორობის უფლებას

და პირის უფლებას შეჯიბრებით პროცესზე.<sup>38</sup> პროექტი ითვალისწინებს, რომ აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური უფლებები. კერძოდ, დიდი პალატის განმარტებით, „უფლება შესატყვისი მტკიცებულების გაცნობაზე“ აბსოლუტური უფლება არ არის. ნებისმიერ სისხლის სამართალწარმოებაში შეიძლება იყოს საწინააღმდეგო ინტერესები, როგორცაა ეროვნული უშიშროება, რომელიც განხილული უნდა იქნეს ბრალდებულის უფლებების საპირსწინედ. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელიც იყოს, რომ დაცვას არ გადაეცეს გარკვეული მტკიცებულება იმისთვის, რათა სხვა პირის ფუძემდებლური უფლება იქნეს დაცული, ან უზრუნველყოფილი იქნეს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი.“<sup>39</sup>

### 7.3. დისტანციური სხდომების იმანენტური პირობები

პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა დისტანციური პროცესებისთვის დამახასიათებელი იმანენტური პრობლემები, რომელთა მოგვარება მხოლოდ რეალური სხდომებით არის შესაძლებელი, კერძოდ ასეთია:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომა: მსოფლიოს მონინავე სამართლებრივი სისტემები იკვლევენ დისტანციურ რეჟიმში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარების შესაძლებლობას<sup>40</sup> და უკვე არსებობს კიდევ ასეთი სხდომების ცალკეული პრეცედენტები<sup>41</sup>, თუმცა პროექტი რეკომენდაციას არ უწევს ნაფიც მსაჯულთა სხდომებზე დისტანციური ფორმატის გამოყენებას, გარდა უკიდურესი შემთხვევებისა. მოწმეთა დაკითხვას და ნივთმტკიცებების დისტანციური გამოკვლევის ზოგადი პრობლემების გარდა, ნაფიც მსაჯულთა პროცესს ემატება დამატებითი სირთულეები, როგორცაა გარე სამყაროსგან ნაფიც მსაჯულთა იზოლირების საჭიროება, ნაფიცი მსაჯულების მიერ სათანადო კომპიუტერული უნარების ნაკლებობა, ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება და ა. შ. პროექტის რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა ამ

<sup>38</sup> იხ. *inter alia*, *ჰოუი და დეივისი გაეითიანებუდი სამეფოს წინააღმდეგ (Rowe and Davis v. the United Kingdom)*, განაცხადი no. 28901/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 60.

<sup>39</sup> იქვე. გადაწყვეტილების პუნქტი 61.

<sup>40</sup> იხ. მაგ. <https://justice.org.uk/wp-content/uploads/2020/06/Mulcahy-Rowden-second-evaluation-report-JUSTICE-virtual-trial.pdf>

<sup>41</sup> <https://fortune.com/2020/05/23/texas-court-jury-trial-videoconferencing/>

საკითხის სირთულე და არასასურველად მიიჩნია ნაფიც მსაჯულთა პროცესის დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. პროექტის ხელთარსებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სხდომა ელექტრონული წესით არ ჩატარებულა.

ნივთმტკიცებების დათვალიერება: დისტანციური სხდომების დროს იმანენტური პრობლემაა ნივთმტკიცების დათვალიერება. ნივთმტკიცების დათვალიერება ახლო მანძილიდან და რეალურ რეჟიმში ვიზუალურ დაკვირვებას მოითხოვს. შესაბამისად, სასამართლოები მაქსიმალურად თავს არიდებენ ნივთმტკიცების დისტანციურ რეჟიმში დათვალიერებას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

#### 7.4. დისტანციური სხდომების უპიჩაგესობები

დასავლეთის მრავალ ქვეყანაში მიიჩნევა, რომ სასამართლო სხდომების ელექტრონულად წარმართვა ხელს უწყობს იაფი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სტანდარტების დამკვიდრებას. სწორედ ამიტომ, არაერთი ქვეყანა ცდილობს ელექტრონული მართლმსაჯულების შემოღებას გარკვეული მიმართულებებით. ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალიზაციის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ქართულ მართლმსაჯულებაშიც მოხდეს თანამედროვე მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვა. ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე იძულებით გადასვლა შეიძლება, ასევე, განვიხილოთ ერთ-ერთ შესაძლებლობად, ობიექტურად შეფასდეს ელექტრონული მართლმსაჯულების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ელექტრონული მართლმსაჯულების დადებითი მხარეების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეიქმნას ერთგვარი საფუძველი მიმართულების განვითარებისათვის.

ასეთ საფუძველად შესაძლოა მივიჩნიოთ გამოკითხულთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ელექტრონული მართლმსაჯულების მიმართ. კვლევაში მონაწილე პირთა საკმაოდ დიდი ნაწილი საერთოდ ეწინააღმდეგება პანდემიის დასრულების შემდეგ დისტანციური სხდომების გაგრძელებას, თუმცა ამავე მონაწილეებმა (სხვა მცირე რაოდენობის რესპონდენტებთან ერთად გამოკვეთეს და დაასახელეს დისტანციური პროცესების შემდეგი უპირატესობები:

- გასვლითი სასამართლო სხდომები, სადაც ბრალდებული ფიზიკურად ვერ ცხადდება, შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად.

- მხარეს აქვს შესაძლებლობა პროცესზე ჩაერთოს ნებისმიერი ადგილიდან.
- იზოგება მხარეთა და სასამართლო ხარჯები (მგზავრობის და სასამართლო ინფრასტრუქტურის გამოყენების ხარჯი).
- იზოგება პროცესის მონაწილეთა გადაადგილებისა და დარბაზში ლოდინის დრო.
- შშმ (ეტლით მოსარგებლე და შეზღუდული მხედველობის მქონე) პირებისთვის ადვილდება პროცესში მონაწილეობა.
- ზოგიერთი მოწმე დისტანციური ჩართვის დროს უფრო თავისუფლად საუბრობს მაშინ, როდესაც სხდომის დარბაზი მასზე დამთრგუნველად მოქმედებს.
- ზოგიერთი გამოკითხულის აზრით, მოსამართლე აღარ ექცევა დაზარალებულის ემოციური ზეგავლენის ქვეშ და ეს დადებითია.

ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარების მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა პირებმა დაუშვეს ვარაუდი, რომ თუ მოხდება გარკვეული ტიპის ხარვეზების აღმოფხვრა, მაშინ დისტანციური ფორმით შესაძლოა ჩატარდეს ის სხდომები, რომლებზეც არ ხდება მოწმეთა დაკითხვა და ნივთმტკიცებების გამოკვლევა, ან სადაც სახეზეა ორივე მხარის თანხმობა.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნული ფაქტორების გარდა, მოახდინეს იმ საქმეების და გარემოებების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია, როდესაც სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარება რეკომენდებულია.

გამოკითხულთა აზრით, დისტანციური მართლმსაჯულება შეიძლება მასობრივად დაინერგოს, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე (მოსამზადებელი სხდომები; მხარდაჭერად დანიშნვის საკითხები, უდარ წარმოების საქმეები, არსებითი სხდომები, სადაც არ ხდება მოწმეების დაკითხვა და ნივთმტკიცების გამოკვლევა), ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე (წინასასამართლო სხდომები, საქმეები სადაც მტკიცებულებები არასადაოა, პატიმრობის საკითხის გადასინჯვა, საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, მხარეთა შესავალი და დასკვნითი სიტყვები, სააპელაციო და საკასაციო სხდომები).

აღნიშნული პოზიცია მკაფიოდ მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიების წარმომადგენლებში უკვე შეინიშნება გარკვეული მზაობა, მოხდეს დისტანციური მართლმსაჯულების ინტეგრირება არადისტანციურ მართლმსაჯულებასთან, თუმცა ამისათვის გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები.

## 8. რეკომენდაციები

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას მართლმსაჯულების სისტემაში დიდი პოტენციალი გააჩნია. მართალია, ფიზიკური სასამართლო პროცესები სრულად ვერ შეიცვლება დისტანციური პროცესებით, თუმცა შესაძლოა კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რეალური პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი ვირტუალური პროცესებით ჩანაცვლდეს.

მთავარი პრინციპი, რითაც მართლმსაჯულების სისტემის სუბიექტებმა უნდა იხელმძღვანელონ არის ის, რომ არ იქნას დარღვეული ეროვნული კანონმდებლობით და ადამიანის უფლებთა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის გარანტიები. გარდა ამისა, სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კომუნიკაციაა. შესაბამისად, საქმის განხილვის ხარისხი დამოკიდებულია ამ კომუნიკაციის ხარისხზე.

დისტანციური მართლმსაჯულების დროს წარმოქმნილი პრობლემები საჭიროებს შესაბამის სისტემურ რეაგირებას. ამ პრობლემების ნაწილი გადაჭრადია, ხოლო ნაწილი კი დისტანციური სხდომის მეშვეობით ვერ გადაიჭრება და ფიზიკური სხდომების ჩატარება იქნება აუცილებელი.

პრობლემების ხასიათის მიხედვით, რეკომენდაციები იყოფა სამ ჯგუფად:

1. რეგულაციებისა და პრაქტიკის დახვეწისკენ მიმართული რეკომენდაციები;
2. უნარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
3. ინფრასტრუქტურასთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

### 8.1. რეგულაციებისა და პრაქტიკის დახვეწა

- მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა სუბიექტის (უწყების) ჩართულობით შემუშავდეს გაიდლაინები დისტანციური სხდომების ჩასატარებლად (სადაც გაიწერება როგორც ტექნიკური პროცედურები, ასევე რეკომენდაციები, რაც გამომდინარეობს მართლმსაჯულების ინტერესიდან). გაიდლაინებში უნდა გაიწეროს,

- როგორც დისტანციური სხდომების მოსამზადებელი პროცედურები, ასევე წარმართვის პროცედურები, მონაწილეთა ქცევის წესები.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა გაიწეროს დისტანციურად სხდომების ჩატარების შესაძლებლობა მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.
  - მოწმის დისტანციური დაკითხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. უნდა შემუშავდეს მოწმის დისტანციური დაკითხვის დროს სახელმძღვანელო წესები, რითიც მოხდება შესაძლო მანიპულაციების თავიდან არიდება. მოწმის დაკითხვის წინ უნდა გადამოწმდეს, რომ მოწმე მართო იმყოფება და არ ხორციელდება მისთვის პასუხების კარნახი რაიმე ფორმით.
  - იმ შემთხვევაში თუ დისტანციური წესით მოწმის დაკითხვის დროს გამოვლინდა მოწმეზე ზემოქმედება, ან მოწმის დაკითხვა ეფექტიანად ვერ განხორციელდა კავშირის ცუდი ხარისხის გამო, ან ნივთმტკიცების გამოკვლევა არ მოხდა სათანადო წესით, ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა დასვან საკითხი იმავე მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევის თაობაზე სსსკ-ის 297-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო სააპელაციო სასამართლოებმა უნდა განავითარონ სათანადო პრაქტიკა, თუ რა შემთხვევებში წარმოქმნის დისტანციური პროცესი მოწმის ხელმეორედ დაკითხვისა და მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევის საჭიროებას.
  - უნდა მომზადდეს ბროშურები და საინფორმაციო მასალა, რომლებიც მოქალაქეებს აუხსნის დისტანციური პროცესების არსსა და დისტანციურ სხდომაზე მოქცევის წესებს.
  - სასამართლოში ყველა კატეგორიის საქმეზე უნდა იყოს შესაძლებელი დოკუმენტაციის წარდგენა ელექტრონული ფორმით. შესაძლოა, ელექტრონული ვერსიის შემდეგ სასამართლომ მოითხოვოს დოკუმენტის ორიგინალის ჩაბარებაც.
  - უზრუნველყოფილი უნდა იქნას ელექტრონული სასამართლო სხდომების საჯაროობა. სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სხდომების გრაფიკი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, სხდომა რეალური ფორმით იმართება თუ დისტანციური ფორმით. დისტანციური ფორმით გამართვის შემთხვევაში, მოქალაქეებსა და მედიას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, თუ ვის მიმართონ ამ სხდომაზე დასასწრებად. დისტანციური სხდომების საჯაროობა შეიძლება მოხერხდეს სასამართლოს გვერდებზე სხდომების ტრანსლირებით. წვდომა შეიძლება იყოს საჯარო ყველასთვის ან მხოლოდ იმ მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი, რომელიც ითხოვს სხდომაზე

დასწრებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მედიასაშუალებას შეიძლება შეეზღუდოს დისტანციური წესით მოწმეთა დაკითხვის პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირება ან დროებით აეკრძალოს ჩანაწერის გავრცელება, რათა თავიდან იქნას აცილებული დაუკითხავ მოწმეებზე ზემოქმედების რისკი. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ელექტრონულ სხდომაზე დამსწრე მოქალაქეს შეიძლება გარკვეული დროით აეკრძალოს სხდომის ჩანაწერის გავრცელება.

- იმ შემთხვევებში, როდესაც დისტანციური პროცესის დროს ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო ბრალდებული და მხარეები ეფექტიანად ვერ მონაწილეობენ და თავიანთი უფლებების რეალიზებას ვერ ახერხებენ, მოსამართლემ პროცესი უნდა გადადოს.
- სხდომაზე წესრიგის დაცვის მიზნით, მოსამართლეებმა გამოიყენონ სხდომის მონაწილისთვის აუდიოს ჩართვისა და გათიშვის ფუნქცია იმ სხდომებზე, სადაც ეს შესაძლებელია. ასევე, სხდომის დასაწყისში გააფრთხილონ მონაწილეები, რომ არ დაიშვება თვითნებური წამოდახილები, რაც ხელს უშლის სხდომის მიმდინარეობას. მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ დისტანციურ სხდომებზე ქცევის იგივე სტანდარტების დაცვა, რაც რეალურ სხდომებზე.
- პროცესის მონაწილის მიერ ვიდეო კავშირის გათიშვა არ უნდა იყოს შესაძლებელი, გარდა გამოუვალი შემთხვევებისა.
- პანდემიის დასრულების შემდეგ, დისტანციური ფორმატი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე.
- დატვირთული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განტვირთვის მიზნით, სასამართლომ უნდა წაახალისოს მხარეები, რომ დისტანციური საქმის განხილვისას საქმე განსახლველად გადაეცეს არაგანსჯად სასამართლოს, რომელიც ნაკლებად დატვირთულია და რომელიც უფრო მოკლე დროში მოახდენს აღნიშნული დავის გადაწყვეტას.

## 8.2. უნარების გაუმჯობესება

- უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრენინგები ელექტრონულ წარმოებაში მონაწილე პირების (მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, სხდომის მდივნები) გადამზადების მიზნით.



### 8.3. ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები

- სასამართლო დარბაზებში არსებული მიკროფონები შეერთებული უნდა იყოს ვებექსის პროგრამასთან, შესაბამისად, პროცესის მონაწილის საუბარი პროგრამას უნდა მიეწოდებოდეს მიკროფონის მეშვეობით და არა დარბაზის მეშვეობით.
- ერთი მხრივ, აუცილებელია სასამართლოს ყველა დარბაზი აღიჭურვოს დისტანციური სხდომის ჩასატარებლად საჭირო ტექნიკით, მეორე მხრივ - დისტანციური სხდომების ჩატარება შეიძლება მოსამართლეთა კაბინეტებიდანაც განხორციელდეს. ამ შემთხვევაში, სხდომის ჩანაწერის დაცულობის მიზნით, უნდა მოხდეს სხდომის ორმაგი ჩანერა - როგორც ვებექსის პროგრამის მეშვეობით, ასევე სხვა აუდიო ჩამწერი პროგრამის მეშვეობით, რომელიც იწერს კომპიუტერის შიდა ხმას.
- აუცილებელია, ტექნიკურად მოგვარდეს ადვოკატ-კლიენტის საუბრის კონფიდენციალობის საკითხი დისტანციური სხდომის ჩატარების დროს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, შესაბამის კომპიუტერებზე დაინსტალირდეს ცალკე პროგრამა, რომელიც იქნება დაცული მესამე პირების შეღწევისგან და შექმნის ადვოკატ-კლიენტის საუბრის კონფიდენციალობის დაცვის შესაძლებლობას.
- სასჯელალსრულებით დაწესებულებებში გაიზარდოს ვიდეო ოთახების რაოდენობა და გაუმჯობესდეს ონლაინ პროცესების ეფექტიანად ჩატარებისათვის მათი ტექნიკურად აღჭურვა.
- პროცესის იმ მონაწილეებს, რომლებსაც არ აქვთ დისტანციური ჩართვის ტექნიკური საშუალებები, შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, რომ ჩაერთონ ადგილობრივი სასამართლოებიდან ან საზოგადოებრივი ცენტრებიდან. ამისთვის, უნდა შეიქმნას სათანადო ოთახები როგორც სასამართლოებში<sup>42</sup>, ასევე საზოგადოებრივ ცენტრებში.
- იმ შემთხვევაში, თუ პროგრამული ხარვეზები გამონვეულია სასამართლოში არსებული მოძველებული ტექნიკით, მოხდეს ამ ტექნიკის განახლება.
- ტექნიკურად უნდა იქნას შესწავლილი ვიდეო და აუდიო კავშირის ხარისხის გაუარესებისა და ხმის გამეორების მიზეზები და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები ამ მიზეზების აღმოფხვრის მიზნით.
- ელექტრონულ პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იქნას სინქრონული თარგმანის შესაძლებლობები.

---

<sup>42</sup> იხ. აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს, 2020 ლინკი: [shorturl.at/ajln2](http://shorturl.at/ajln2).

## 9. დასკვნა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მართლმსაჯულების სფეროში საგანგებო ვითარების გამო დანერგილი სტანდარტებისა და არსებული ხარვეზების ანალიზს, ასევე პირველ მცდელობას, შეფასდეს ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

ქართულ მართლმსაჯულებას არ ჰქონდა ფორსმაჟორულ სიტუაციებში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, არ იყო შემუშავებული კრიზისულ სიტუაციებში ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე გადასვლის წინასწარშემუშავებული გეგმა ან სტრატეგია. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ახალ რეალობასთან ადაპტირება საკმაოდ დაჩქარებული წესით მოხდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი პანდემიის დასრულებამდე გადაიდო, დანარჩენ ნაწილზე კი უპირატესობა მიენიჭა დისტანციურ მომსახურებასა და ელექტრონული წესით საქმეთა განხილვას. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ პროცესების გადადებამ საქართველოს სასამართლოებში საქმეთა დაგროვების და გაჭიანურების პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა, ელექტრონული წესით საქმეთა განხილვისას კი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმართაობამ წარმოქმნა მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესებისა და მხარეთა უფლებების მასობრივი დარღვევის რისკი.

სამწუხაროდ, მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარება მკაფიო პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში კაცობრიობას პანდემიასთან თანაცხოვრება მოუწევს. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლოს, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუციების მხრიდან გატარდეს ქმედითი ზომები ელექტრონული მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდისა და განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანია, პოსტსაგანგებო მდგომარეობის პერიოდის ეფექტიანი გამოყენება კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და დადასტურებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. აუცილებელია, დისტანციური მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვა, რათა მართლმსაჯულების სისტემა გაცილებით მომზადებული შეხვდეს პანდემიის მხრივ სიტუაციის ხელმეორედ ესკალაციას. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, შესაბამისმა ინსტიტუტებმა, ყურადღება მიაქციონ კვლევაში გაანალიზებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რათა დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელება გაგრძელდეს ამ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.